ალლაჰის სახელით გილოცავ, ყოველი იმ ბოროტებისგან, რაც ზიანს გაყენებს, ყოველი ბოროტი სულისგან ან შურიანი თვალისგან. ალლაჰის სახელით გილოცავ

აბუ საიდ ალ-ხუდრის (ალლაჰი იყოს კმაყოფილი) გადმოცემის თანახმად, მან თქვა: «ჯიბრილი მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოვიდა და ჰკითხა: ო მუჰამმად, რამე გაწუხებს (გტკივა)? მოციქულმა უპასუხა: «დიახ». მაშინ ჯიბრილმა თქვა: «ალლაჰის სახელით გილოცავ, ყოველი იმ ბოროტებისგან, რაც ზიანს გაყენებს, ყოველი ბოროტი სულისგან ან შურიანი თვალისგან. ალლაჰის სახელით გილოცავ».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ანგელოზი ჯიბრილი (მშვიდობა მას) ალლაჰის მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მივიდა და ჰკითხა: ო მუჰამმად ავად გახდი? მიუგო: დიახ. მაშინ ჯიბრილმა მას ალლაჰის მოციქულს შეულოცა ამ სიტყვებით და თქვა: «ალლაჰის სახელით»– მის შეწევნას ვეძებ, «გილოცავ» და შეგიფარებ, «ყველაფრისგან, რაც ზიანს გაყენებს» – იქნება ეს მცირე თუ დიდი, «ყოველი ბოროტი სულისგან» – არაწმინდურისგან, „ან შურიანი ადამიანის თვალისგან“ – რომ არ დაგაზიანოს. ალლაჰი „გაგაჯანსაღებს“, დაგიცავს და შეგიფარებს ყველა სნეულებისგან, ალლაჰის სახელით გკურნავ“ – ეს ფრაზა მან გაიმეორა ხაზგასმისთვის და მისით დაიწყო და დაასრულა, რათა მიანიშნოს, რომ მხოლოდ უზენაესი ალლაჰია ერთადერთი მფარველი და მკურნალი.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5650